

სკოპინგის დასკვნა N1

დაგეგმილი საქმიანობის დასახელება: 50 მგვტ სიმძლავრის ქარის ელექტროსადგურის, 110 კვ ქვესადგურის და 35 კვ ეგხ-ის მშენებლობა და ექსპლუატაცია;

დაგეგმილი საქმიანობის განმახორციელებელი: შპს „აჭარ ენერჯი-2007“ (ს/კ 245591426);

დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი: ზესტაფონისა და თერჯოლის მუნიციპალიტეტები;

განაცხადის შემოსვლის თარიღი: 02.10.2023;

მონაცემები სკოპინგის ანგარიშის შემდგენლის შესახებ: შპს „გამა კონსალტინგი“;

ძირითადი საპროექტო მონაცემები:

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში შპს „აჭარ ენერჯი 2007“-ის მიერ წარმოდგენილ იქნა, ზესტაფონისა და თერჯოლის მუნიციპალიტეტებში, 50 მგვტ სიმძლავრის ქარის ელექტროსადგურის, 110 კვ ქვესადგურის და 35 კვ ეგხ-ის მშენებლობისა და ექსპლუატაციის სკოპინგის ანგარიში.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, 50 მგვტ სიმძლავრის ქარის ელექტროსადგურის, 110 კვ ქვესადგურის და 35 კვ ეგხ-ის მშენებლობა და ექსპლუატაცია დაგეგმილია ზესტაფონისა და თერჯოლის მუნიციპალიტეტების საზღვრებში. საპროექტო ტერიტორია მოიცავს სოფ. ქვედა სიმონეთს, სოფ. ბარდუბანს, სოფ. ახალუბანს, სოფ. ალისუბანს და სოფ. როდინაულს. ქარის ელექტროსადგური, ქვესადგური და ეგხ ძირითადად განთავსებული იქნება სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე. საპროექტო არეალში მდებარეობს მდინარე ყვირილას ხეობის მარჯვენა ნაპირზე (shp ფაილების ელექტრონული გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ მდინარესთან ყველაზე ახლოს, დაახლოებით 100 მეტრის დაშორებით მდებარეობს მე-8 ქარის ტურბინის განთავსებისთვის შერჩეული ადგილი). უახლოესი საცხოვრებელი სახლი საპროექტო ქარის ელექტროსადგურის ტურბინებიდან მდებარეობს - 810-850 მეტრის დაშორებით, 110 კვ ქვესადგურის განთავსების ადგილიდან უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე მანძილი შეადგენს დაახლოებით 1,400 მეტრს. **სკოპინგის ანგარიშში მითითებული არ არის მანძილი უახლოესი საცხოვრებელი პუნქტიდან საპროექტო ეგხ-მდე, აღნიშნული საკითხი დაზუსტებული უნდა იქნეს გზმ-ის ანგარიშში.**

სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილია დაგეგმილი საქმიანობის ალტერნატიული ვარიანტების შესახებ ინფორმაცია, მათ შორის განხილულია ქარის ტურბინებისა და ქვესადგურის განთავსების ადგილმდებარეობის ალტერნატივები, ასევე მოცემულია დაგეგმილი საქმიანობის უმოქმედობის (ნულოვანი) ალტერნატივა. დოკუმენტში განხილულია ქარის ელექტროსადგურის განთავსების სამი ალტერნატიული ვარიანტი, რომელთა ურთიერთშედარების საფუძველზე, გარემოსდაცვითი და ტექნიკური საკითხების

გათვალისწინებით, უპირატესობა მიენიჭა პირველ ალტერნატივას, რაც გულისხმობს ქარის ელექტროსადგურის განთავსებას ზესტაფონისა და თერჯოლის მუნიციპალიტეტებში, სოფ. ქვედა სიმონეთის, სოფ. ბარდუბნის, სოფ. ახალუბნის, სოფ. ალისუბნის და სოფ. როდინაულის ტერიტორიებზე. საპროექტო 110 კვ ქვესადგურის ადგილმდებარეობის ალტერნატიული ვარიანტებიდან (ალტერნატივა 1 და ალტერნატივა 2), ბიოლოგიურ გარემოზე ნაკლები ზემოქმედებისა და შედარებით მცირე მოცულობის მიწის სამუშაოების გათვალისწინებით, უპირატესობა მიენიჭა პირველ ალტერნატიულ ვარიანტს, რომლის მიხედვით ქვესადგური განთავსდება სოფ. სიმონეთის ტერიტორიაზე. **სკოპინგის ანგარიშში განხილული არ არის 35 კვ. ძაბვის ეგზ-ის ალტერნატიული ვარიანტები. აღნიშნული საკითხი გათვალისწინებული უნდა იქნეს გზშ-ის ანგარიშში.**

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, ქარის ელექტროსადგურის ტურბინების განთავსების წერტილების GPS კოორდინატებია: **N1 ტურბინა X- 320630, Y-4673884; N2 ტურბინა X-320526, Y- 4673376; N3 ტურბინა X- 321986, Y- 4673910; N4 ტურბინა X- 321966, Y-4673369; N5 ტურბინა X- 322214, Y- 4672828; N6 ტურბინა X- 323445, Y-4672489; N7 ტურბინა X- 323438, Y- 4673043; N8 ტურბინა X- 323256, Y-4673571; N9 ტურბინა X- 324546, Y- 4672287; N10 ტურბინა X- 324605, Y- 4673219.**

საპროექტო ქარის ელექტროსადგური მოიცავს 10 ერთეულ „NORDEX“-ის ტიპის ფოლადის ტურბინას. თითოეული ტურბინის სიმაღლე მიწის ზედაპირიდან შეადგენს - 108 მეტრს. ტურბინები აღჭურვილი იქნება 163 მ დიამეტრის მქონე სამფრთიანი როტორებით. შერჩეული ტურბინების ექსპლუატაციისთვის საჭირო ქარის სიჩქარეა 3 მ/წმ-დან 26 მ/წმ-მდე. ქარის სიჩქარის მაღალ ნიშნულამდე მიღწევის შემთხვევაში, უსაფრთხოების საკითხების გათვალისწინებით, მოხდება ტურბინების გაჩერება. თითოეული ტურბინის ნომინალური სიმძლავრე შეადგენს 5,000 კვტს. ქარის ელექტროენერჯის საშუალო წლიური გამომუშავება იქნება დაახლოებით 172.645 გვტ/სთ. ტურბინების მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯია მიწისქვეშა 35 კვ ძაბვის საკაბელო ხაზის საშუალებით, მიეწოდება 110 კვ ძაბვის ქვესადგურს. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ქარის ტურბინებისა და ქვესადგურის დამაკავშირებელი 35 კვ ძაბვის ეგზ განთავსდება მიწისქვეშ 1.5-1.7 მ სიღრმის ტრანშეაში. კაბელები განთავსებული იქნება მისასვლელი გზების დერეფნებში ზედა ფერდის მხარეს.

საპროექტო 110 კვ ძაბვის ქვესადგურის მოეწყობა დაგეგმილია 4 120 მ² ფართობის მქონე მიწის ნაკვეთზე (GPS კოორდინატები: X-321810.98, Y-4674092.25). ქვესადგურში განთავსებული იქნება შემდეგი ინფრასტრუქტურა: საშუალო და მაღალი ძაბვის სისტემები; კონდენსატორული ბატარეები; კონტროლის, კომუნიკაციის, უსაფრთხოებისა და სახანძრო დაცვის სისტემები და სხვა დამხმარე ინფრასტრუქტურა.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, ქარის ელექტროსადგურის მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯის ქ/ს „ზესტაფონი 500“-ში ჩასართავად, საპროექტო 110 კვ ძაბვის ქვესადგურიდან საჭირო იქნება 110 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანა ქ/ს „ზესტაფონი 500“-მდე. წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, 110 კვ ეგზ-ის გაყვანა

მოხდება დამოუკიდებელი პროექტის სახით. გზმ-ის ანგარიშში სათანადოდ უნდა იქნეს დასაბუთებული ეგზ-ის დამოუკიდებელი პროექტით გაყვანის გადაწყვეტილება ან წარმოდგენილი უნდა იქნეს ეგზ-ის შესახებ დეტალური ინფორმაცია (ტიპი, პარამეტრები, სქემატური ნახაზები, shp ფაილები, გარემოს კომპონენტებზე ზემოქმედება და ა.შ.) და მისი მოწყობის შედეგად გარემოს კომპონენტებზე ზემოქმედების შეფასება.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, ქარის ელექტროსადგურის მშენებლობის პროცესში სამშენებლო მასალებისა და მზა კონსტრუქციების ტრანსპორტირებისათვის გამოყენებული იქნება საერთაშორისო მნიშვნელობის „თბილისი-სენაკი-ლესელიძის (E60)“ საავტომობილო მაგისტრალი და საპროექტო ტერიტორიასთან დამაკავშირებელი ადგილობრივი გზები, რომლებსაც ჩაუტარდება სარეაბილიტაციო სამუშაოები და სავალი ნაწილის სიგანე გაიზრდება 4,5-5 მეტრამდე. გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნეს სარეაბილიტაციო გზების პარამეტრების შესახებ ინფორმაცია, ასევე შეფასებული უნდა იყოს სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების შედეგად გარემოს კომპონენტებზე ზემოქმედების შეფასება.

პროექტის ფარგლებში დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოების ვადა განსაზღვრულია 24 თვით. სამშენებლო ბანაკის მოწყობა დაგეგმილია, თერჯოლის მუნიციპალიტეტში, სოფ. ქვედა სიმონეთის ტერიტორიაზე 8 791 მ² ფართობის მქონე მიწის ნაკვეთზე (GPS კოორდინატები: X-321850.00, Y-4673950.92), რომელიც თავისუფალია მცენარეული საფარისგან. ბანაკიდან უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე დაშორების მანძილი შეადგენს დაახლოებით 1.4 კილომეტრს. სამშენებლო ბანაკის ტერიტორიაზე სასმელ-სამეურნეო წყლის მომარაგება მოხდება ავტოცისტერნებით, ჩამდინარე წყლების ჩაშვება გათვალისწინებულია 10 მ³ მოცულობის ჰერმეტიკულ ავზში.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, პროექტის ფარგლებში წარმოსაქმნელი ფუჭი ქანების რაოდენობა იქნება დაახლოებით 69 400 მ³. სამშენებლო სამუშაოების დროს ექსკავირებული გრუნტის ძირითადი ნაწილი გამოყენებული იქნება უკუყრილებში (სადირკვლების შევსებისათვის, ტურბინების და ქვესადგურის სამშენებლო მოედნების ტერიტორიების გეგმარებისათვის და მისასვლელი გზების ვაკისების მოსაწყობად). პროექტის მიხედვით, მუდმივად დასაწყობებას დაექვემდებარება 15 268 მ³ მოცულობის ფუჭი ქანები, რისთვისაც დაგეგმილია 6 867 მ² ფართობის მქონე ტერიტორიაზე სანაყაროს მოწყობა. GPS კოორდინატები: X-321980.56, Y-4674138.45.

სკოპინგის ანგარიშში მოცემულია ზოგადი ინფორმაცია გარემოზე შესაძლო ზემოქმედების სახეებისა და იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც გათვალისწინებული იქნება გარემოზე მნიშვნელოვანი უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილებისათვის, შემცირებისათვის ან/და შერბილებისათვის.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საქმიანობის სპეციფიკისა და უახლოეს პუნქტამდე მანძილის გათვალისწინებით, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევითა და ხმაურის გავრცელებით გამოწვეული მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევა დაკავშირებული იქნება სამშენებლო სამუშაოების ეტაპთან. დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, ექსპლუატაციის ეტაპზე ატმოსფერულ ჰაერზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საპროექტო ქარის ტურბინების კონსტრუქციისა და სიმაღლის გათვალისწინებით, მათი ვიზუალური აღქმა შესაძლებელია 4-6 კმ-ით დაცილებული ტერიტორიებიდან, უახლოესი საცხოვრებელი სახლის საზღვრიდან დაცილების მინიმალური მანძილი შეადგენს 810-850 მ-ს. შესაბამისად ქარის ელექტროსადგურებით გამოწვეულ ზემოქმედებებს შორის, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ვიზუალურ ზემოქმედებას. წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, ტურბინების ფრთების ჩრდილის ციმციმთან დაკავშირებული მაღალი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. ასევე, დოკუმენტში აღნიშნულია, რომ უახლოესი საცხოვრებელი სახლიდან N6, N8 და N10 ტურბინებს შორის არსებული მანძილის გათვალისწინებით (810-850 მ), შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს ტურბინის ფრთების ბრუნვისას სინათლის და ჩრდილის მონაცვლეობით გამოწვეულ ზემოქმედებას. **გზშ-ის ანგარიშში დეტალურად უნდა იქნეს შეფასებული დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებით გამოწვეული ვიზუალურ-ლანდშაფტური ზემოქმედების საკითხები, მათ შორის ჩრდილის ციმციმთან დაკავშირებული ზემოქმედება და წარმოდგენილი იქნეს შესაბამისი შემარბილებელი ან/და საკომპენსაციო ღონისძიებები.**

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საპროექტო არეალში უმეტესად წარმოდგენილია ანთროპოგენურად სახეცვლილი ჰაბიტატები, მათ შორის სასოფლო სავარგულები. საპროექტო არეალში არსებულ ბუნებრივ ჰაბიტატებში (მეორადი მდელოები, ბუჩქნარები) ჭარბობენ: ამორფა (*Amorpha fruticosa*), ცრუაკაცია (*Robinia pseudoacacia*), გლედიჩია (*Gleditsia triacanthos*). ასევე გვხვდება, მურყანი (*Alnus glutinosa* subsp. *barbata*) და ტყემალი (*Prunus cerasifera*). დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, მოსალოდნელია ზემოქმედება ხელფრთიანებზე და ორნითოფაუნაზე. საპროექტო და მის მიმდებარე ტერიტორიებზე შესაძლოა მოხვდეს ხელფრთიანთა 19 სახეობა, მათ შორის, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე დაცული სახეობები, როგორცაა: სამხრეთული ცხვირნალა (*Rhinolophus euryale*), ევროპული მაჩქათელა (*Barbastella barbastellus*), ჩვეულებრივი ფრთაგრძელი (*Miniopterus schreibersii*), გიგანტური მელამურა (*Nyctalus lasiopterus*) და წვეტყურა მლამიობი (*Myotis blythii*) სხვა. წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, საკვლევ არეალში დაფიქსირდა 20-მდე სახეობის ფრინველი. დაფიქსირებული ინდივიდებიდან არ გამოვლენილა საქართველოს ან საერთაშორისო წითელი (IUCN) ნუსხით დაცული სახეობები. სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, ბიომრავალფეროვნების კვლევებისა და დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების შედეგად ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების შეფასების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი იქნება გზშ-ის ანგარიშში.

სკოპინგის ანგარიშიდან დგინდება, რომ საპროექტო ტერიტორიიდან დაახლოებით 2,645 მეტრში მდებარეობს საპროექტო ჭოგნარის ქარის ელექტროსადგურის ტერიტორია. ამასთან, საპროექტო „იმერეთის“ და „ჭოგნარის“ ქარის ელექტროსადგურებისათვის განკუთვნილი ტერიტორია მდებარეობს დაცულ ტერიტორიებთან სიახლოვეს, კერძოდ: აჯამეთის აღკვეთილის და ზურმუხტის ქსელის დამტკიცებული საიტის აჯამეთის (GE0000018) საზღვრებთან. სკოპინგის ანგარიშის შესაბამისად, „იმერეთის“ ქესსა და აჯამეთის აღკვეთილის და ზურმუხტის ქსელის აჯამეთის (GE0000018) მიღებულ უბანს შორის დამორეგული მანძილი 3,5 კმ-ს, ხოლო „ჭოგნარის“ ქარის ელექტროსადგურს, აჯამეთის აღკვეთილის და ზურმუხტის ქსელის საიტის აჯამეთის (GE0000018) ტერიტორიას შორის არსებული მანძილი 3,7 კმ-ია. სკოპინგის ანგარიშის თანახმად და ზემოაღნიშნული ინფორმაციის გათვალისწინებით, საპროექტო ქარის ელექტროსადგურების ადგილმდებარეობიდან გამომდინარე მოსალოდნელია ნეგატიური ზემოქმედება ორნითოფაუნაზე. წარმოდგენილი ინფორმაციით, საპროექტო „იმერეთის“ ქეს-ის მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპებზე შესაძლო კუმულაციური ზემოქმედების რისკები დეტალურად შეფასებული იქნება გზშ-ის ფარგლებში.

სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს ინფორმაციით, 21279803 კვ.მ (2127,8 ჰა) ფართობიდან (shp-ფაილი) „სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 4 აგვისტოს № 299 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო ტყის საზღვრების მიხედვით, 1192652 კვ.მ (119,2 ჰა) ფართობი მდებარეობს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყეში.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების შედეგად ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე პირდაპირი სახის ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. დოკუმენტში მითითებულია, რომ გზშ-ს ეტაპზე საპროექტო ტერიტორიებზე დაგეგმილია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დეტალური კვლევის ჩატარება, რომლის შედეგები ასახული იქნება გზშ-ის ანგარიშში, ასევე დაგეგმილი საქმიანობა შეთანხმებული იქნება სსიპ კულტურული მემკვიდრეობის ეროვნულ სააგენტოსთან.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრმა უზრუნველყო წარმოდგენილი სკოპინგის ანგარიშისა და საჯარო განხილვების შესახებ ინფორმაციის, როგორც გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე, ასევე თერჯოლისა და ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების საინფორმაციო დაფებზე განთავსება. საჯარო განხილვების შესახებ ინფორმაცია განთავსდა ინფორმაციის გავრცელების დამკვიდრებულ ადგილებში, ასევე სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ვებგვერდზე და ფეისბუქ გვერდზე. ამასთან, ინფორმაცია გაეგზავნა ცენტრის გამომწერებს ელ. ფოსტის მეშვეობით. დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვები ცენტრის ორგანიზებით გაიმართა 2023 წლის 26 და 27 ოქტომბერს სოფ. ქვედა სიმონეთში, სოფ. ალისუბანსა და სოფ. როდინაულის ადმინისტრაციული ერთეულების შენობებში. საჯარო განხილვებს ესწრებოდნენ: გარემოს

ეროვნული სააგენტოს, გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის, შპს „აჭარ ენერჯი 2007“-ის, თერჯოლისა და ზესტაფონის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები და ადგილობრივი მოსახლეობა. საჯარო განხილვებზე დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით დაფიქსირებული შენიშვნები/მოსაზრებები ძირითადად ეხებოდა სოციალურ და საკომპენსაციო საკითხებს. დამსწრე საზოგადოების მხრიდან დასმულ საკითხებზე, შპს „აჭარ ენერჯი 2007“-ის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კომპანიის მხრიდან მოხდება სოციალური და განსახლების საკითხებზე დამატებითი შეხვედრის ორგანიზება მოსახლეობასთან. საჯარო განხილვებზე გამოთქმული შენიშვნები/მოსაზრებები და შესაბამისი პასუხები/განმარტებები აისახა საჯარო განხილვების ოქმებში.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები/მოსაზრებები სააგენტოში არ წარმოდგენილა.

სკოპინგის პროცედურის შედეგად სააგენტოს მიერ, იდენტიფიცირდა გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ძირითადი ზემოქმედების წყაროები, სახეები და ობიექტები. განისაზღვრა და დადგინდა დაგეგმილი საქმიანობის გზშ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი, ასევე გზშ-ის პროცესში დეტალურად შესასწავლი ზემოქმედებების საკითხები.

გზშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი:

1. გზშ-ის ანგარიში უნდა მოიცავდეს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-10 მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილ ინფორმაციას;
2. გზშ-ის ანგარიშს უნდა დაერთოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-4 ნაწილით განსაზღვრული დოკუმენტაცია;
- 2.1 გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს სკოპინგის ანგარიშში მითითებული (განსაზღვრული, ჩასატარებელი) კვლევების შედეგები, მოპოვებული და შესწავლილი ინფორმაცია, გზშ-ის პროცესში დეტალურად შესწავლილი ზემოქმედებები და შესაბამისი შემცირების/შერბილების ღონისძიებები;
3. გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად გზშ-ის ანგარიში ხელმოწერილი უნდა იყოს იმ პირის/პირების მიერ, რომელიც/რომლებიც მონაწილეობდა/მონაწილეობდნენ მის მომზადებაში, მათ შორის, კონსულტანტის მიერ.
4. გზშ-ის ანგარიშში, ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს:
 - დაგეგმილი საქმიანობის საჭიროების დასაბუთება (გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედებით გამოწვეული დანაკარგისა და მიღებული სარგებლის ურთიერთშეწონის საფუძველზე);
 - დაგეგმილი საქმიანობის დეტალური აღწერა;
 - გარემოს დაცვის მიზნით შემოთავაზებული გონივრული ალტერნატიული ვარიანტების შესახებ ინფორმაცია, შესაბამისი დასაბუთებით (მათ შორის ქარის ელექტროსადგურის, ეგზ-ის და ქვესადგურის). მათ შორის არაქმედების (ნულოვანი)

ალტერნატივის, ტექნიკური პარამეტრების ალტერნატივების, ადგილმდებარეობის ალტერნატივების ანალიზი და გარემოსდაცვითი თვალსაზრისით შერჩეული ალტერნატივების აღწერა-დასაბუთება.

- საპროექტო ტერიტორიის დეტალური აღწერა/გარემო პირობების დახასიათება. მათ შორის ქარის ტურბინა-გენერატორების კონკრეტული ლოკაციების, დამხმარე ინფრასტრუქტურის, საპროექტო 110 კვ. ქვესადგურისა და ტურბინების ქვესადგურთან დამაკავშირებელი 35 კვ ძაბვის მიწისქვეშა ელექტროგადამცემი ხაზის განთავსების ადგილების **დეტალური აღწერა**, საკადასტრო კოდების, ფართობების, GPS კოორდინატების მითითებით, პროექტის ერთიან Shp ფაილებთან ერთად;
- საპროექტო ინფრასტრუქტურიდან (ქარის ელექტროსადგური, ეგზ და ქვესადგური) დაზუსტებული მანძილები უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე, დასახლებულ პუნქტამდე და ზედაპირული წყლის ობიექტ(ებ)ამდე, გენ-გეგმაზე კონკრეტული მანძილების მითითებით;
- საპროექტო ობიექტის ერთიანი გენერალური გეგმა, მაღალი გარჩევადობით და შესაბამისი ექსპლიკაციით, სადაც დატანილი იქნება ქარის ელექტროსადგურის შემადგენელი ყველა საპროექტო ინფრასტრუქტურული ობიექტი, მათ შორის საპროექტო ქვესადგური და ელექტროგადამცემი ხაზი;
- ქარის ელექტროსადგურის ფუნქციონირების ტექნოლოგიური სქემის დეტალური, თანმიმდევრული აღწერა, ელექტროსადგურის ჯამური სიმძლავრისა და (თვეების, წლების განმავლობაში) გამომუშავებული ელექტროენერჯის შესახებ ინფორმაციის მითითებით. საოპერაციო დროის/წლის განმავლობაში სამუშაო რეჟიმის შესახებ ინფორმაცია;
- საპროექტო ქარის ელექტროსადგურის, ქვესადგურისა და ელექტროგადამცემი ხაზის ტექნიკური პარამეტრების, ფიზიკური მახასიათებლების ცხრილი, პროექტის განმარტებითი ბარათი და ყველა შემადგენელი ობიექტის აღწერით;
- დეტალური ინფორმაცია ტურბინების რაოდენობის, ტიპის, თითოეული ტურბინის ადგილმდებარეობის, დადგმული სიმძლავრის, ტურბინების სიმაღლისა და ფრთების დიამეტრის შესახებ;
- დეტალური ინფორმაცია ტურბინებისთვის, ელექტროგადამცემი ხაზისა და ქვესადგურისთვის გათვალისწინებული დაცვის ზონებისა (ბუფერის) შესახებ (სქემატურ რუკაზე დატანით და შესაბამისი Shp ფაილებით);
- ქარის ელექტროსადგურის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული შესაბამისი/დამხმარე ინფრასტრუქტურული ობიექტების შესახებ დეტალური ინფორმაცია (თითოეული ობიექტის ტექნიკური მახასიათებლების მითითებით);
- ქვესადგურის ტერიტორიაზე სატრანსფორმატორო ზეთის დაღვრის პრევენციის მიზნით გასათვალისწინებელი ზეთმემკრები სისტემის შესახებ ინფორმაცია;
- ქარის ტურბინების ქვესადგურთან დამაკავშირებელი მიწისქვეშა 35 კვ ეგზ-ის, ეგზ-ის ტრანშეის სიღრმის და ტრანშეაში ეგზ-ის განთავსების პირობების შესახებ ინფორმაცია;

- ინფორმაცია საპროექტო ელექტროსადგურის და შემადგენელი ინფრასტრუქტურის მოწყობის ფარგლებში ფიზიკური/ეკონომიკური განსახლების შესახებ (არსებობის შემთხვევაში);
- მშენებლობა-ექსპლუატაციის ეტაპებზე წყალმომარაგების შესახებ ინფორმაცია;
- ინფორმაცია მშენებლობა-ექსპლუატაციის ეტაპებზე წარმოქმნილი სამეურნეო-ფეკალური და სანიაღვრე წყლების მართვის შესახებ;
- დასაქმებული ადამიანების რაოდენობა, მათ შორის დასაქმებულთა შორის ადგილობრივი მოსახლეობის წილი, ასევე პერსონალის პროფესიული და ტექნიკური სწავლების შესახებ ინფორმაცია;
- პროექტის ფარგლებში მოსალოდნელი ავარიული სიტუაციების შესახებ ინფორმაცია, მართვის ღონისძიებების მითითებით. ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა;
- საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში, საქმიანობის დაწყებამდე არსებული გარემოს პირვანდელ მდგომარეობამდე აღდგენის ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია;
- ინფორმაცია საპროექტო ტერიტორიის ფარგლებში გამწვანების ზოლის მოწყობის შესაძლებლობის შესახებ;
- საპროექტო არეალში არსებული მიწის ნაკვეთების საკუთრების ან/და სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ინფორმაცია გზმ-ის ფარგლებში ჩატარებული საბაზისო/საძიებო კვლევებისა და გზმ-ის ანგარიშის მომზადებისთვის გამოყენებული მეთოდების შესახებ.

4.1. გზმ-ის ანგარიშის გეოლოგიურ ნაწილში წარმოდგენილი უნდა იყოს:

გარემოს ფონური მდგომარეობის აღწერა:

- რელიეფი (გეომორფოლოგია);
- გეოლოგიური აგებულება და ტექტონიკა;
- სეისმური პირობები;
- ჰიდროგეოლოგიური პირობები;
- საინჟინრო - გეოლოგიური პირობების პიკეტური აღწერა (უნდა მოიცავდეს საპროექტო ტერიტორიის სივრცეში არსებული საშიში გეოლოგიური პროცესების აღწერასაც).

გეოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება:

- საშიში გეოლოგიური პროცესების შესაძლო გააქტიურების განსაზღვრა საპროექტო ობიექტის მშენებლობა-ექსპლუატაციის პერიოდში, პრევენციული ღონისძიებების მითითებით;
- ფუჭი ქანების განთავსების ადგილ(ებ)ის (სანაყარო) და სამშენებლო ბანაკ(ებ)ის საპროექტო დოკუმენტაცია;

4.2. პროექტის ფარგლებში შესასრულებელი სამუშაოების შესახებ ინფორმაცია, კერძოდ:

- სამშენებლო სამუშაოების შესახებ დეტალური ინფორმაცია, ხანგრძლივობისა და გეგმა-გრაფიკის მითითებით;
- ინფორმაცია მშენებლობაში გამოყენებული ტექნიკის შესახებ;
- ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის სამუშაოებისა და სარეკულტივაციო სამუშაოების შესახებ დეტალური ინფორმაცია („ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნათა დაცვით) ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოცულობისა და მისი განთავსების პირობებისა და ადგილმდებარეობების (GPS კოორდინატები, Shp ფაილები) მითითებით;
- ინფორმაცია მშენებლობის პროცესში წარმოსაქმნელი გრუნტის მოცულობისა და მართვის შესახებ, ფუჭი ქანების განთავსების ადგილების/სანაყაროების (GPS კოორდინატები, Shp ფაილებთან ერთად) მითითებით;
- დასაბუთებული უნდა იყოს სამშენებლო ბანაკისა და სანაყაროების განთავსებისთვის შერჩეული ადგილ(ებ)ის გარემოსდაცვითი და ტექნიკური უპირატესობები. სანაყაროებისთვის ტერიტორიის შერჩევას გათვალისწინებული უნდა იქნეს ასევე მოქმედი კანონმდებლობა, რომელიც სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე სანაყაროს მოწყობას არ ითვალისწინებს;
- მშენებლობისთვის საჭირო სამშენებლო მასალების მოპოვების შესახებ ინფორმაცია.

4.3. საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობის საკითხები:

- ინფორმაცია საპროექტო ტერიტორიამდე მისასვლელი გზების შესახებ (არსებული/საპროექტო გზების სქემატურ ნახაზებზე და shp ფაილებზე ასახვით);
- ინფორმაცია ახალი მისასვლელი გზების მოწყობის ან/და არსებულის რეაბილიტაციის შესახებ. ახალი მისასვლელი გზების მოწყობის ან/და არსებული გზების რეაბილიტაციის შემთხვევაში, წარმოდგენილი უნდა იყოს დეტალური ინფორმაცია გზების პარამეტრებისა და მოწყობის სქემის მითითებით, ასევე შეფასებული უნდა იქნეს გზების მოწყობით/რეაბილიტაციით გამოწვეული ზემოქმედება გარემოს კომპონენტებზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე;

4.4. სამშენებლო ბანაკის განთავსების შესახებ ინფორმაცია, მათ შორის:

- დეტალური ინფორმაცია სამშენებლო ბანაკ(ებ)ის შესახებ, ბანაკ(ებ)ის საპროექტო დოკუმენტაციის მითითებით;
- წარმოდგენილი უნდა იყოს ასევე სამშენებლო ბანაკ(ებ)ის დაზუსტებული ადგილმდებარეობა (GPS კოორდინატების მითითებით, shp ფაილებთან ერთად), ასევე დასაბუთებული უნდა იყოს ბანაკის განთავსებისთვის შერჩეული ადგილმდებარეობის გარემოსდაცვითი და ტექნიკური უპირატესობები;
- დაზუსტებული ინფორმაცია სამშენებლო ბანაკ(ებ)იდან უახლოეს მოსახლემდე მანძილი;
- სამშენებლო ბანაკისთვის შერჩეული ტერიტორიის დეტალური აღწერა-დახასიათება;
- სამშენებლო ბანაკის გენ-გეგმა, შესაბამისი ექსპლიკაციით;
- სამშენებლო ბანაკ(ებ)ზე წყალმომარაგებისა და ჩამდინარე წყლების მართვის შესახებ საკითხები;
- სამშენებლო ბანაკის ელექტროენერჯით მომარაგების საკითხები;
- სამშენებლო ბანაკზე (არსებობის შემთხვევაში) საწვავის შესანახი რეზერვუარის ტიპის, ტევადობისა და განთავსების პირობების შესახებ ინფორმაცია;

4.5. გზშ-ის ანგარიშში, ბიომრავალფეროვნების შეფასების ნაწილში წარმოდგენილი უნდა იყოს:

- გზშ-ის ეტაპზე დაგეგმილ ბიომრავალფეროვნების ყველა კომპონენტის კვლევის და უკვე ჩატარებული კვლევების (სკოპინგის ანგარიშის მიხედვით და 2023 წელში) შედეგების ანალიზისა და შეჯერების საფუძველზე უნდა შემუშავდეს ბიომრავალფეროვნებაზე მოსალოდნელი ზემოქმედების ამსახველი ნაწილი, ასევე სათანადო შემარბილებელი ღონისძიებები და ზემოქმედების თავიდან აცილების ქმედებები, ასევე საჭიროებისამებრ შემოთავაზებული უნდა იქნეს საკომპენსაციო ღონისძიებები. გარდა ამისა, დეტალურად უნდა იყოს განხილული ინფორმაცია ფრინველთა დამაფრთხილებელი მოწყობილობების შესახებ, მათ შორის წარმოდგენილ იქნეს ინფორმაცია პროექტისთვის გამოყენებული კონსტრუქციის ფერსა და ფორმაზე ფრინველების შეჯახებით გამოწვეული სიკვდილიანობის შემცირების კუთხით, ასევე დამაფრთხილებელი მოწყობილობების ეფექტურობის დასაბუთებით;
- საჭიროა ჩატარდეს შემოდგომის და გაზაფხულის მიგრაციის, ასევე ბუდობის პერიოდის კვლევები, რომელზე დაყრდნობით მომზადებული ინფორმაცია ასახული იქნება გზშ-ის ანგარიშში, უშუალოდ პროექტის გავლენის ზონაში არსებულ ფრინველებზე (განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდეს საერთაშორისო ხელშეკრულებებით და საქართველოს "წითელი ნუსხით" დაცულ სახეობებზე და ჰაბიტატებზე), მათზე შესაძლო ზემოქმედებაზე, ამ ზემოქმედების თავიდან აცილებასა და საჭიროების შემთხვევაში საკომპენსაციო ღონისძიებებზე. ამასთან, წარმოდგენილი უნდა იყოს ზემოაღნიშნული კვლევის შედეგები ფოტომასალასთან ერთად. ასევე, არსებული კვლევების და შემდგომში ჩასატარებელი კვლევების შედეგების საფუძველზე განახლდეს შემარბილებელი ღონისძიებები და შემუშავდეს სრულფასოვანი ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის გეგმა და აისახოს შემარბილებელი ღონისძიებების ეფექტურობაზე

დაკვირვების, მონიტორინგის ჩატარების სიხშირისა და ვადის/ხანგრძლივობის, ასევე სააგენტოსთან ანგარიშგების საკითხები.

5. დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების შედეგად გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება გარემოს თითოეული კომპონენტისათვის და პროექტის განხორციელების შედეგად მოსალოდნელი ზემოქმედებების შეჯამება, მათ შორის:

- ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება, მათ შორის ემისიები სამშენებლო ტექნიკისა და სამშენებლო მასალების დამამზადებელი ობიექტის (მოწყობის შემთხვევაში) მუშაობისას, გაბნევის ანგარიშის მითითებით. ამასთან, წარმოდგენილი უნდა იყოს ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი ზემოქმედების შემარბილებელი/პრევენციული ღონისძიებები და მონიტორინგის საკითხები;
- პროექტის ფარგლებში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროს არსებობის/მოწყობის შემთხვევაში გზშ-ის ანგარიშს თან უნდა ახლდეს ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი;
- მოწყობა-ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით, ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს ხმაურის გავრცელების მოდელირება;
- მშენებლობა-ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე და გრუნტის ხარისხზე, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელი ზემოქმედება ზედაპირული წყლის ობიექტზე და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;
- ბიოლოგიურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე, შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- ვიზუალურ-ლანდშაფტური ცვლილებით გამოწვეული ზემოქმედების შეფასება, შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- შუქ-ჩრდილების ციმციმით გამოწვეული ზემოქმედების შეფასება მიმდებარე ტერიტორიაზე, მოსალოდნელი მოციმციმე ჩრდილების გავლენის მოდელირება;
- ზამთრის პერიოდში ქარის ტურბინებზე ყინულის წარმოქმნით/ყინულის ცვენით გამოწვეული ნეგატიური ზემოქმედების შეფასება, პრევენციული ღონისძიებების მითითებით;
- ელჭექის რისკის შეფასება და მეხამრიდი სისტემის შესახებ ინფორმაცია;
- მშენებლობა-ექსპლუატაციის ეტაპზე ნარჩენების გავრცელების მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება. ინფორმაცია მშენებლობა-ექსპლუატაციის ეტაპზე წარმოქმნილი ნარჩენების და მათი შემდგომი მართვის შესახებ, „ნარჩენების მართვის კოდექსისა“ და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად;

- შესაძლო პირდაპირი ან/და არაპირდაპირი ზემოქმედების შეფასება ისტორიულ-კულტურულ და არქეოლოგიურ ძეგლებზე, მოსალოდნელი ზემოქმედების აღწერა და შედეგების შესწავლა, შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- პროექტის ფარგლებში სატრანსპორტო გადაზიდვებით/სამშენებლო ტრანსპორტის გადაადგილებით გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების (მარშრუტებისა და სატრანსპორტო ოპერაციების რაოდენობის მითითებით), მათ შორის სატრანსპორტო ნაკადებზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება, შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით. ზემოაღნიშნული ფაქტორებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს საკვლევ რეგიონში არსებული და დაგეგმილი პროექტები;
- მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე, მიწის საკუთრებასა და გამოყენებაზე (წარმოდგენილი უნდა იყოს საპროექტო არეალში ზემოქმედებას დაქვემდებარებული მიწის ნაკვეთებისა და მათი მესაკუთრეების ინფორმირების/შეთანხმების შესახებ ინფორმაცია, ასევე არსებობის შემთხვევაში, ქარის ტურბინების და ეგზ-ის დაცვის ზონაში/ბუფერში მოქცეული კერძო საკუთრებების შესახებ ინფორმაცია და შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია) ბუნებრივი რესურსების შეზღუდვაზე (მათ შორის სამოვრებზე ზემოქმედება). ამასთან, განისაზღვროს ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები. ასევე, მოცემული იყოს სკოპინგის ეტაპზე საზოგადოების ინფორმირებისა და მათ მიერ წარმოდგენილი მოსაზრებებისა და შენიშვნების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია;
- პროექტის განხორციელებით გარემოს კომპონენტებზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედების შეფასება, რეგიონში არსებული და/ან დაგეგმილი საქმიანობების გათვალისწინებით;
- დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებით გამოწვეული გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების აღწერა, რომელიც განპირობებულია ავარიისა და კატასტროფის რისკების მიმართ საქმიანობის მოწყვლადობით;
- მოწყობა-ექსპლუატაციის ეტაპებისთვის შემუშავებული **შემარბილებელი ღონისძიებების შემაჯამებელი გეგმა-გრაფიკი**;
- მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე განსახორციელებელი **გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა** (შესაბამისი საკონტროლო წერტილების მონიტორინგის სიხშირის, მეთოდის და ა.შ მითითებით);
- გზშ-ის ფარგლებში შემუშავებული ძირითადი დასკვნები, რეკომენდაციები და დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში განსახორციელებელი ძირითადი ღონისძიებები;
- გზშ-ის ეტაპზე, დოკუმენტის მომზადებისას გამოყენებული ნებისმიერი ლიტერატურის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამის ქვეთავში (მაგ. ბიბლიოგრაფია, გამოყენებული ლიტერატურა), სადაც მითითებული იქნება ინფორმაციის გავრცელების წყარო, ელ. ბმული ან/და წიგნის/ნაშრომის/სტატიის

ავტორის, გამოცემის წელის, წიგნის/სტატიის დასახელებისა და გამოყენებული გვერდების შესახებ ინფორმაცია.

6. საკითხები/შენიშვნები, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნეს გზშ-ის ანგარიშში:

- სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს ინფორმაციით, 21279803 კვ.მ (2127,8 ჰა) ფართობიდან (shp-ფაილი) „სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 4 აგვისტოს № 299 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო ტყის საზღვრების მიხედვით, 1192652 კვ.მ (119,2 ჰა) ფართობი მდებარეობს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყეში კერძოდ, ზესტაფონის სატყეო უბნის კვალითის სატყეოში (ყოფილ საკ. ტყე). იმ შემთხვევაში თუ დაგეგმილია სპეციალური ტყითსარგებლობის უფლების მოპოვება სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე „ტყითსარგებლობის წესის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის N221 დადგენილებით განსაზღვრული საქმიანობა ან მისი განკარგვა საჭიროებს შეთანხმებას სახელმწიფო ტყის მართვის უფლების მქონე ორგანოსთან. იმ შემთხვევაში, თუ დაგეგმილია ტყის სტატუსის შეწყვეტის უფლების მოპოვება, გზშ-ის ანგარიშს უნდა დაერთოს ტყის სტატუსის შეწყვეტისთვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტები. ტყის სტატუსის შეწყვეტა რეგულირდება „ტყის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტისა და ტყის საზღვრების დადგენისა და კორექტირების/შეცვლის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 06 ოქტომბრის №496 დადგენილებით და შესაბამისად გათვალისწინებული უნდა იქნეს აღნიშნული დადგენილების მოთხოვნები;
- გზშ-ის ეტაპზე დაზუსტებული უნდა იყოს მდ. ყვირილასა და საპროექტო ინფრასტრუქტურის შორის დაშორების მანძილისა და „წყალდაცვითი ზოლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის №440 დადგენილებასთან თავსებადობის შესახებ ინფორმაცია;
- სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს ცნობით, საპროექტო არეალი მოიცავს: სასარგებლო წიაღისეულის (ლითონები, არალითონები) მოპოვების მიზნით ლიცენზირებულ ობიექტებს, ასევე მიწისქვეშა წყლის ლიცენზირებულ ობიექტს და მის პირველ სანიტარიული დაცვის მკაცრი რეჟიმის ზონას, ქვიშა-ხრეშის საბადოების კონტურებს, ყვირილას დებრესიის მანგანუმის საბადოს უბნებს, რომლის პროდუქტული ფენა განლაგებულია სიღრმეზე და საბადოს დამუშავების შემთხვევაში წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს მიწისქვეშა სამთო გამონამუშევრების მეშვეობით. გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს აღნიშნული საკითხის გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია;
- გარემოზე ზემოქმედების სათანადოდ შეფასებისათვის და ეფექტური შემარბილებელი, პრევენციული და საკომპენსაციო ღონისძიებების დასახვა-განხორციელების მიზნით, მიზანშეწონილია ქარის ელექტროსადგურის მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯის ქსელში ჩართვის 110კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის

პროექტი წარმოდგენილ იქნეს დაგეგმილ საქმიანობასთან ერთად, ერთიანი გზშ-ის ანგარიშის სახით. აღნიშნული სახით, გზშ-ის ანგარიშის წარმოდგენის შემთხვევაში, მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია: საერთო ქსელთან მიერთებისათვის განკუთვნილი საპროექტო ეგზ-ის ძირითადი პარამეტრების, ფიზიკური მახასიათებლების, ტექნიკური გადაწყვეტების (მაზვა, გაბარიტები, ეგზ-ის ტიპი, სიგრძე და სხვ), ასევე მისი გაყვანით გამოწვეული გარემოზე ზემოქმედების საკითხების და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების შესახებ დეტალური ინფორმაცია; ეგზ-ის ალტერნატიული ვარიანტების შესახებ ინფორმაცია; ამასთან, მოცემული უნდა იყოს კუმულაციური ზემოქმედების შეფასება, რეგიონში არსებული ან/და დაგეგმილი ელექტროგადამცემი ხაზების გათვალისწინებით. ზემოაღნიშნულის განუხორციელებლობის შემთხვევაში, გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს სათანადო დასაბუთება;

- გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს მდ.ყვირილას რეჟიმი, ჰიდრავლიკური გაანგარიშებები, სხვადასხვა უზრუნველყოფების შესაბამისი წყალდიდობის დატბორვის ზონები, წარეცხვები და სხვ;
- ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელების შემთხვევაში, წარმოდგენილი უნდა იქნეს დეტალური ინფორმაცია ნაპირდაცვითი ნაგებობების შესახებ (ადგილმდებარეობის, ფიზიკური მახასიათებლებისა და ტექნიკური პარამეტრების მითითებით), ასევე გარემოს კომპონენტებზე ზემოქმედების შეფასება ნაპირდაცვით სამუშაოების განხორციელების შედეგად;
- სკოპინგის ანგარიშში არ არის წარმოდგენილი და გზშ-ის ეტაპზე დაზუსტებული უნდა იქნეს ინფორმაცია მიწისქვეშა საკაბელო 35 კვ ძაბვის ეგზ-ის პარამეტრების (ჯამური სიგრძე, კაბელების ტიპი და სხვ.) შესახებ;
- გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს „საქართველოს მთავრობის 2021 წლის 09 ივნისის N274 დადგენილებით დამტკიცებული „ცხოველების ჯილეხთან ბრძოლის პროფილაქტიკური საკარანტინო წესით“ განსაზღვრული მოთხოვნების დაცვის შესახებ ინფორმაცია;
- წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, საპროექტო არეალი მოიცავს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებს. საჭიროების შემთხვევაში, გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნეს ინფორმაცია მიწის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ნაკვეთების სტატუსის შეცვლის (არასასოფლო-სამეურნეო) შესახებ;
- გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით ადმინისტრაციული წარმოების დაწყებისთვის, გზშ-ის ანგარიშში გათვალისწინებული უნდა იქნეს სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული თითოეული მოთხოვნა;

გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული თითოეული საკითხის გათვალისწინების შესახებ, ერთიანი ცხრილის სახით.

დასკვნითი ნაწილი

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით შპს „აჭარ ენერჯი-2007“-ის მიერ წარმოდგენილ პროექტზე, რომელიც ეხება ზესტაფონისა და თერჯოლის მუნიციპალიტეტებში, 50 მგვტ სიმძლავრის ქარის ელექტროსადგურის, 110 კვ ქვესადგურის და 35 კვ ეგხ-ის მშენებლობასა და ექსპლუატაციას, **სავალდებულოა გზშ-ის ანგარიში მომზადდეს** წინამდებარე სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებული კვლევების, მოსაპოვებელი, შესასწავლი ინფორმაციის და წარმოსადგენი დოკუმენტაციის მიხედვით. გზშ-ის ანგარიშში შედგენილი უნდა იყოს მოქმედი კანონმდებლობის, განსაკუთრებით სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული მითითებების სრული დაცვით.